

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 აგვისტოს №01-07/12 რიგგარეშე
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ, სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების განსაზღვრის შესახებ, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში შორენა თურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

5. „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2018 წლის ორი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №--

2018 წლის -- აგვისტო
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად გამოიყოს ადგილები, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტების თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

3. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

4. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატები (სააგიტაციო მასალები) შემდეგი ზომით: სიგრძე 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).

5. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) განთავსებისას შესაბამისი საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს დაევალოს სათანადო ადმინისტრაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

6. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას.

7. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №46 განკარგულება.

9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

10. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების (საგიტაციო მასალის) გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილები

№	ტერიტორიული ორგანოს დასახელება	დაბის და სოფლების დასახელება	სარჩევნო სუბიექტის მიერ საარჩევნო პლაკატების (საგიტაციო მასალების) გაკვრა და გამოფენისათვის გამოყოფილი შესაბამისი ადგილებისა და შენობა ნაგებობების დასახელება	გამოყოფილი ადგილების მისამართი და აღწერილობა	შენიშვნა
1	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	დაბა ქედა	ქუჩის საყრდენი კედელი	მდებარე დ. აღმაშენებლისა და შ. რუსთაველის ქუჩის კვეთიდან დ. აღმაშენებლის ქუჩა №1 მდებარე საცხოვრებელ სახლამდე ქუჩის მარცხენა მხარეს	
			ჩოგბურთის მოედნის საყრდენი კედელი	მდებარე შ. რუსთაველის ქუჩაზე ქუჩის მარცხენა მხარეს ჩოგბურთის კორტის საყრდენი კედელი	
			მინი ფეხბურთის სტადიონი	მდებარე თამარ მეფის ქ.№1-ში გარე ფასადის ირგვლივ	
			ქუჩის საყრდენი კედელი	მდებარე 9 აპრილის ქუჩის დასაწყისიდან 9 აპრილის ქუჩის №1 -მდე ქუჩის მარჯვენა მხარეს	
			ქუჩის საყრდენი კედელი	მდებარე დ. აღმაშენებლის ქუჩის №26, №28 და №30 მდებარე შენობა ნაგებობების ქვემოდან ქუჩის მარჯვენა მხარეს	
2	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	დაბა ქედა	ქუჩის საყრდენი კედელი	მდებარე ტ. აბუსერიძის ქუჩაზე ქუჩის მარცხენა მხარეს ვაჟა-ფშაველას ქუჩის დასაწყისამდე ტ. აბუსერიძის ქუჩის №13 და №15 -ში მდებარე შენობა - ნაგებობების მოპირდაპირე წინა მხარეს	
		სოფ: ორცვა	სოფელ ორცვის კლუბის გვერდითი ფასადი	მდებარე სოფ: ორცვაში სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	

3	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: არსენაულები	სოფლის სახლის გარე ფასადი	მდებარე სოფელ არსენაულებში, სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს შენობის სამივე მხარიდან	
4	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ძენწმანი	მგზავრთა მოსაცდელი ორი ერთეული	მდებარე სოფ: ძენწმანში სოფლის დასაწყისში და სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	
		სოფ: კორომხეთი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: კორომხეთში სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფ: ცხემნა	მინი ფეხბურთის სტადიონი	მდებარე სოფელი ცხემნა პირველი ქ.№-2 გარე ფასადის ირგვლივ	
5	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: აქუცა	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: აქუცაში სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	
			ელექტრო წისქვილი	მდებარე სოფ: აქუცაში სოფლის ბოლო ნაწილში გზის მარჯვენა მხარეს	
6	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: დანდალო	სოფლის სახლის გარე ფასადი	მდებარე სოფ: დანდალოში სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	
		სოფ: ტაკიძეები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: ტაკიძეებში სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფლის სახლის ორი ერთეული	მდებარე სოფ: ტაკიძეებში სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს	
7	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: გოგიაშვილები	გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფ: გოგიაშვილებში ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: გოგიაშვილებში სოფლის დასაწყისში, ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფ: დანდალო	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: დანდალოში სოფლის დასაწყისში, ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	

8	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: მოსიაშვილები	მგზავრთა მოსაცდელი სამი ერთეული	მდებარე სოფ: სოფელ მოსიაშვილებში ბათუმი ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს	
		სოფ: ბალაძეები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: სოფელ ბალაძეებში სოფლის დასაწყისში, ბათუმი ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფ: ბალაძეებში სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	
9	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ჯალაბაშვილები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: სოფელ ჯალაბაშვილებში სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფ: ჯალაბაშვილებში, სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა	
10	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ხარაულა	მგზავრთა მოსაცდელი სამი ერთეული	მდებარე სოფ: სოფელ ხარაულაში სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფ: ხარაულაში, სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
11	ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ზვარე	მგზავრთა მოსაცდელი ორი ერთეული	მდებარე სოფ: სოფელ ზვარეში სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფ: ზვარეში, სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	
		სოფ: ზესოფელი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: სოფელ ზესოფელში სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფ: ზესოფელში სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
12	ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ვაიო	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: სოფელ ვაიოში სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფლი ვაიოს კლუბი	მდებარე სოფ: ვაიოში სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	

13	ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: კვამტა	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: სოფელ კვამტაში სოფლის დასაწყისში, გზის მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფ: კვამტაში სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფ: სირაბიძეები	სოფლის სახლი	მდებარე სოფ: სირაბიძეებში სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	
14	დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: დოლოგანი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: დოლოგანში , ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფლის კლუბი	მდებარე სოფ: დოლოგანში სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	
		სოფ: ჭალახმელა	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: ჭალახმელაში , სოფლის დასაწყისში ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფ: ჭინკაძეები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: დოლოგანში , ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარცხენა მხარეს	
15	მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: მილისი	სოფლის კლუბი	მდებარე სოფ: მილისში სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფ: უჩხითი	სოფლის სახლი	მდებარე სოფ: უჩხითში სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: უჩხითში სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფ: ნამლისევი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: ნამლისევი სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
16	მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ზედა ბზუბზუ	მინი ფეხბურთის სტადიონი ირგვლივ	მდებარე სოფ: ზედა ბზუბზუში სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
		სოფ: ზუნდაგა	სოფლის კლუბი	მდებარე სოფ: ზუნდაგაში სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: ზუნდაგაში სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	

17	მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ზედა მახუნცეთი	სოფლის სახლი	მდებარე სოფ: ზედა მახუნცეთში სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფ: ქვედა მახუნცეთი	მგზავრთა მოსაცდელი ორი ერთეული	მდებარე სოფ: ქვედა მახუნცეთში , ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარცხენა მხარეს	
18	მერისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: მერისი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: მერისში სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			სავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფ: მერისში სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
19	მერისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ნამონასტრევი	ძველი მაღაზიის შენობა	მდებარე სოფ: ნამონასტრევიში სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფ: სილიბაური	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: სილიბაურში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			სავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფ: სილიბაურში სოფლის ცენტრში, ნოდარ თურმანიძის საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირეთ წინ გზის მარცხენა მხარეს	
20	ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ოქტომბერი	მგზავრთა მოსაცდელი სამი ერთეული	მდებარე სოფ: ოქტომბერში, გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს	
		სოფ: გოგინიძეები	მგზავრთა მოსაცდელი ორი ერთეული	მდებარე სოფ: გოგინიძეებში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფ: კუჭულა	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: კუჭულაში, ალიოღლების უბანში გზის მარჯვენა	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფ: კუჭულაში სოფლის ქვედა უბანში, გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფ: კუჭულაში სოფლის ზედა უბანში, გზის მარჯვენა მხარეს	

21	ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: მეძიბნა	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: მეძიბნაში, სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	
		სოფ: აგოთა	მინი ფეხბურთის სტადიონის იგვლივ	მდებარე სოფ: აგოთაში, სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: აგოთაში, სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
22	პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: პირველი მაისი	მგზავრთა მოსაცდელი ხუთი ერთეული	მდებარე სოფ: პირველ მაისში, ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარცხენა და მარჯვენა მხარეს	
23	პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: კოლოტაური	სოფლის სახლი	მდებარე სოფ: კოლოტაურში სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფ: კოლოტაურში ჯინიშის უბანში, გზის მმარჯვენა მხარეს	
24	პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ზედა აგარა	სოფლის სახლი	მდებარე სოფ: ზედა აგარაში, გზის მარჯვენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: ზედა აგარაში, გზის მარცხენა მხარეს	
25	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ცხმორისი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: ცხმორისის ცენტრში, ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარცხენა მხარეს	
		სოფ: გობრონეთი	სავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფ: გობრონეთში ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარცხენა მხარეს პირველი ქუჩის №7 მდებარე შ ნობა-ნაგებობის მოპირდაპირედ წინ	
		სოფ: ახო	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: ახოში, სოფლის დასაწყისში გზის მარჯვენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: ცხმორისში, სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	

26	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ცხმორისი	ელექტრო წისქვილი	მდებარე სოფ: ცხმორისში, სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
			სავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფ: ცხმორისში ისრაფილ ბერიძის საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ მარჯვენა მხარეს	
27	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ახო	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: ახო, სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	
		სოფ: ჩეტკიძეები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: ჩეტკიძეებში , სოფლის დასაწყისში გზის მარცხენა მხარეს	
			სავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფ: ჩეტკიძეებში, სოფლის დასაწყისში გზის მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფ: ჩეტკიძეებში სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
28	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: გეგელიძეები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: გეგელიძეებში, სოფლის დასაწყისში გზის მარცხენა მხარეს	
			სავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფ: გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის საცხოვრებელი სახლის ბოლოს მარცხენა მხარეს	
29	წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: ვარჯანისი	სავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფ: ვარჯანისში ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარცხენა მხარეს სილოვან ბერიძის საცხოვრებელი სახლის ბოლოს	
		სოფ: წონიარისი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფ: წონიარისში, ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარცხენა მხარეს	
			სავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფ: წონიარისში, ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მხარეს	

			მგზავრთა მოსაცდელი	მდეზარე სოფ: წონიარისში, სოფლის ცენტრში, ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
30	წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: აბუქეთა	სოფლის სახლი	მდეზარე სოფ: აბუქეთაში სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდეზარე სოფ: აბუქეთაში, ბათუმი ახალციხის სავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
31	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ: კოკოტაური	მგზავრთა მოსაცდელი	მდეზარე სოფ: კოკოტაურში, კიკაშვილების უბანში გზის მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდეზარე სოფ: კოკოტაურში, ძანაძეების უბანში, გზის მარჯვენა მხარეს	

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №--

2018 წლის -- აგვისტო

დაბა ქედა

**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების გამოყოფის
შესახებ, სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს ის შენობა-ნაგებობები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩატარება, თანახმად დანართი №1-სა.

2. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „იმ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №47 განკარგულება.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

შენობა-ნაგებობები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება

№	ტერიტორიული ორგანოს დასახელება	საარჩევნო სუბიექტის მიერ ამომრჩეველთან შეხვედრისათვის შესაბამისი შენობა- ნაგებობების დასახელება	დასახელებული შენობა-ნაგებობების მისამართი	შენიშვნა
1	დ. ქედის ადმინისტრაციული ერთეული	ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა	დ. ქედა, შოთა რუსთაველის ქ. № 12	
		სოფლის სახლი	სოფელი ზენდიდის	
		სოფლის სახლი	სოფელი ხუნკუდა	
		სოფლის სახლი	სოფელი გულები	
		სოფლის სახლი	სოფელი არსენაული	
		სოფლის სახლი	სოფელი შევაბური	
2	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი გოგიაშვილები	
3	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	ახოს სოფლის კლუბი	სოფელი ახო	
		სოფლის სახლი	სოფელი ჩეტკიძეები	
		სოფელ ცხმორისის კლუბი	სოფელი ცხმორისი	
4	წონიარისი ადმინისტრაციული ერთეული	წონიარისის კულტურის სახლი	სოფ. წონიარისი	
5	ზვარეს ადმინისტრაციული ერთეული	ვაიოს სოფლის კლუბი	სოფელი ვაიო	
		კვაშტის სოფლის კლუბი	სოფელი კვაშტა	
		სოფლის სახლი	სოფელი ზესოფელი	
6	პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	ზედა აგარის სოფლის კლუბი	სოფელი ზედა აგარა	
		სოფლის სახლი	სოფელი ქვედა აგარა	
		სოფლის სახლი	სოფელი კოლოტაური	
7	მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი უჩხითი	
		ზუნდაგის სოფლის კლუბი	სოფელი ზუნდაგა	
		სოფლის სახლი	სოფელი ზედა მახუნცეთი	

8	დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი ჭინკაძეები	
9	მერისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ. მერისის კულტურის სახლი	სოფელი მერისი	
		სოფლის სახლი	სოფელი ნამონასტრევი	
		მერისის სოფლის კლუბი	სოფელი მერისი	
		ინაშარიძეების სოფლის კლუბი	სოფელი ინაშარიძეები	
		სიხალიძეების სოფლის კლუბი	სოფელი სიხალიძეები	
		გუნდაურის სოფლის კლუბი	სოფელი გუნდაური	
10	ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი კუჭულა	

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2018 წლის -- აგვისტო

დაბა ქედა

**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების განსაზღვრის შესახებ,
სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის განსაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა, თანახმად დანართი №1-სა.

2. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა აკრძალულია განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში მოცემულ საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებისა და ექსტერიერებში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საგზაო ნიშანზე.

3. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. ძალდაკარგულად გამოცხადდეს „იმ შენობა-ნაგებობების განსაზღვრის შესახებ სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №48 განკარგულება.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

შენიშვნა-ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია
საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა

№	სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დასახელება	სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაკავებული შენობა-ნაგებობების ადგილმდებარეობა და მისამართი	შენიშვნა
1	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქედის სამსახური	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა № 2	
2	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	დაბა ქედა, ტ. აბუსერიძის ქუჩა №17	
3	სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური სამმართველოს ქედის წარმომადგენლობა	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა №2	
4	აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ქედის წარმომადგენლობა	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა №2	
5	საქართველოს შრომის და ჯამრთელობის დაცვის სამინისტროს ქედის სოციალური მომსახურების სააგენტო	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა №3	
6	ქედის სატყეო ადმინისტრაცია	დაბა ქედა, ვაჟა ფშაველას ქუჩა №2	
7	შინაგან საქმეთა სამინისტროს ქედის პოლიციის სამმართველო	დაბა ქედა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №4	
8	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქედის სარეგისტრაციო სამსახური	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა №2	
9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ქედის რესურსცენტრი	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა № 3	
10	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა № 3	
11	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა №3	
12	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	დაბა ქედა, დ. აღმაშენებლის პირველი ჩიხი №1	
13	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ოქტომბერი	
14	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი დანდალო	
15	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული	ქედა, სოფელი ცხმორისი	

	ორგანო, ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული		
16	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი დოლოგანი	მშენებლობის პროცესშია
17	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ზუნდაგა	
18	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი პირველი მაისი	
19	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი წონიარისი	
20	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, მერისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი მერისი	
21	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ზვარე	
22	სასამართლო	დაბა ქედა, ტ. აბუსერიძის ქუჩა №17	
23	აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო ქედის არქივი	დაბა ქედა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №1	
24	№80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისია	დაბა ქედა, აკ. წერეთლის ქ. №2	

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

**2018 წლის -- აგვისტო
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
2018 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლების საფუძველზე და მუდმივ საცხოვრებლად რეგისტრირებული მოსახლეობის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდეს:

ა) „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №1-სა.

ბ) „ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №2-სა.

გ) „ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №3-სა.

დ) „გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №4-სა.

ე) „ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №5-სა.

ვ) „ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №6-სა.

ზ) „საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №7-სა.

თ) „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №8-სა.

ი) „ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №9-სა.

კ) „ამბულატორიული მომსახურების მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №10-სა.

ლ) „თემზე დაფუძნებული მოხილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის“ თანახმად დანართი №11-სა.

მ) „ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამოხილური ხანდაზმულებისათვის“ თანახმად დანართი №12-სა.

ნ) „პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №13-სა.

2. განკარგულებით დამტკიცებული დანართი №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12 და №13 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №59 განკარგულება.

4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს ლევან გორგილაძეს.

5. ამ განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიზნობრივი პროგრამა

2018 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

„ამბულატორიული მომსახურების პროგრამა“

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

1 იანვარი 2018წ.
31 დეკემბერი 2018წ.

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მილიანი ბიუჯეტი

105000 (ასბუთიათასი) ლარი.

4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 105000 ლარი.

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პროგრამის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

მუნიციპალიტეტის სოფლები დიდი მანძილითაა დაშორებული საექიმო ამბულატორიასთან და ჭირს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა საექიმო ამბულატორიის ტრანსპორტითა და სხვა მომსახურებით უზრუნველყოფა.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ამბულატორიული მომსახურების გაუმჯობესება	პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2018 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ამბულატორიების მომსახურება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის (ქვეპროგრამის) მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

1. ბენეფიციარების მონახულება და შეტყობინება.

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით					
№	წყაროს დასახელება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ
	მირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	105000		105000
	დამატებითი				
	სულ	105000			105000

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

გ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში მერისის, დანდალოს, ცხმორისის წონიარისის, ზვარის, დაბა ქედის, მახუნცეთის, ოქტომბრის და პირველი მაისის ამბულატორიების მომსახურება.

№	ღონისძიებების ხელფასი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თვე	თანხა
1	მძღოლის ხელფასი	9	300	12	32400
2	საწვავი 9 ავტომობილზე (ლიტრი)	1334	2.2	12	35217.6
3	ავტომანქანების მიმდინარე რემონტი	8240	1	1	8240
4	ავტომანქანების დაზღვევა	9	443	1	3987
5	ელექტროენერგიის გადასახადი	9	20	12	2160
6	გათბობის ხარჯი	9	160	1	1440
7	მედიკამენტები	11	40.5	12	5346
8	პროგრამის მართვის ხარჯი	16209.4	1	1	16209.4
	ჯამი				105000

11. პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადეები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	დანდალოს, ცხმორისის, წონიარისის, ზვარის, დაბა ქედის, პ/მასის, მახუნცეთის, ოქტომბრის, მერისის ამბულატორიების მომსახურეობა.	კვარტალი			

დამატებითი ინფორმაცია:

ნივის ტიპის ავტომობილებზე საწვავი ერთ თვეში გადებული იქნას არაუმეტეს 150 ლიტრისა, ხოლო უაზის ტიპის ავტომობილებზე არაუმეტეს 220 ლიტრისა.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ამბულატორიული მომსახურების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 105 000 ლარს. თანხა არ იცვლება, მხოლოდ პროგრამის ქვეპუნქტში, საწვავის ეკონომიის ხარჯზე 2270,40 ლარი გადატანილი იქნა პროგრამის მართვის ხარჯში, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ შპს ავტოსატრასპორტო საწარმოს დაეკისრა ქონების გადასა, რაც პროგრამით არ იყო გათვალისწინებული. აღნიშნული ქონების გადასახადი ჩამოჭრილი იქნა პროგრამის მართვის ხარჯიდან.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2018 წლის -- აგვისტო
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2018 წლის ორი კვარტლის
შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2018 წლის ორი კვარტლის ანგარიში თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების
რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების ბალანსის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ავტონომიური რესპუბლიკა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

თვითმმართველი ქალაქი, მუნიციპალიტეტი: ქედის მუნიციპალიტეტი

პერიოდულობა: კვარტალური, 2018 წლის 1 ივლისისათვის

ზომის ერთეული: ლარი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დაბა ქედა, მ.კოსტავას ქ. №3



25 00 52, 25 00 55


„05“ ივლისი 2018 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ რამაზ ბოლქვაძეს

ბატონო რამაზ,

გიგზავნით ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშს 2018 წლის 1 ივლისის მდგომარეობით. ასევე გაცნობებთ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის სახაზინო და მიმდინარე სადეპოზიტო ანგარიშებზე სამსახურის მონაცემებით ნაშთად უნდა ირიცხებოდეს 914880,61 (ცხრაასთოთხმეტი ათას რვაასოთხმოცი ლარი და 61 თეთრი) ლარი, ხოლო სახელმწიფო ხაზინისა და ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ – ის ნაშთის შესახებ ცნობით კი ირიცხება 624732,61 (ექვსას ოცდაოთხი ათას შვიდასოცდათორმეტი ლარი და 61 თეთრი) ლარი, სხვაობა 290 148 (ორასოთხმოცდაათი ათას ასორმოცდარვა) ლარი კვლევის პროცესშია.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსი:



ჯემალ ტაკიძე

№01065/080

06 ივლისი 2018 წელი

ცნობა


ედლევა ქედის მუნიციპალიტეტს (საიდენტიფიკაციო ნომერი 246 762 061)
მასზედ, რომ სს „ლიბერთი ბანკში“ გახსნილ ანგარიშწორების
ანგარიშზე №GE66LB0120111389440003 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
არსებული ნაშთი შეადგენს 450000 (ოთხასორმოცათიათასი) ლარს.

ცნობა გაცემა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

თამარ აბულაძე

სს „ლიბერთი ბანკის“ ქედის

ფილიალის მენეჯერი



ანგარიშების ბალანსი

თარიღი: 01/07/2018



246762061 - ქედის მუნიციპალიტეტი

თარიღი	ანგარიშის ნომერი	ბალანსი
01/07/2018	3007000000	141,190.69
01/07/2018	3007000001	0.24
01/07/2018	3007000002	0.00
01/07/2018	3007000003	1,536.62
01/07/2018	3007000004	0.00
01/07/2018	3007000005	21.55
01/07/2018	3007000006	0.00
01/07/2018	3007000007	0.02
01/07/2018	3007000008	0.00
01/07/2018	3007000009	0.00
01/07/2018	3007000010	0.00
01/07/2018	3007000011	0.00
01/07/2018	3007000012	0.00
01/07/2018	3007000013	12,342.49
01/07/2018	3007000014	0.00
01/07/2018	3007000015	0.00
01/07/2018	3007000016	6,244.00
01/07/2018	3007000017	0.00
01/07/2018	3007000018	0.00
01/07/2018	3007000019	13,397.00
01/07/2018	3007000020	0.00



ქედის მუნიციპალიტეტი

დასახელება	2018 წლის დაზუსტებული გეგმა		2018 წლის II კვ. დაზუსტებული გეგმა		2018 წლის II კვ. საკასო შესრულება	
შემოსავლები	11,080.044	0.000	4,476.144	0.000	4,514.051	0.000
გადასახადები	850.000		499.000		806.219	
გრანტები	9,523.444	0.000	3,688.044	0.000	3,411.147	0.000
სხვა შემოსავლები	706.600		289.100		296.686	
ხარჯები	5,654.524	0.000	2,885.674	0.000	2,726.034	0.000
შრომის ანაზღაურება	2,870.900	0.000	1,358.520	0.000	1,319.655	0.000
საქონელი და მომსახურება	1,287.590	0.000	701.670	0.000	661.338	0.000
პროცენტი	25.600	0.000	25.600	0.000	18.279	0.000
სუბსიდიები	772.500	0.000	407.400	0.000	391.657	0.000
სოციალური უზრუნველყოფა	302.181	0.000	137.981	0.000	126.087	0.000
სხვა ხარჯები	395.753	0.000	254.503	0.000	209.019	0.000
საოპერაციო საღდო	5,425.520	0.000	1,590.470	0.000	1,788.018	0.000
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,724.564	0.000	1,846.224	0.000	1,465.304	0.000
ზრდა	5,739.564	0.000	1,861.224	0.000	1,474.369	0.000
კლება	15.000		15.000		9.065	
მთლიანი საღდო	-299.044	0.000	-255.754	0.000	322.713	0.000
ფინანსური აქტივების ცვლილება	-299.202	0.000	-255.912	0.000	322.713	0.000
ზრდა	10.400	0.000	10.400	0.000	322.713	0.000
ვალუტა და დეპოზიტები		0.000		0.000	312.313	0.000
აქციები და სხვა კაპიტალი	10.400		10.400		10.400	
კლება	309.602	0.000	266.312	0.000	0.000	0.000
ვალუტა და დეპოზიტები	309.602	0.000	266.312	0.000		0.000
ვალდებულებების ცვლილება	-0.158	0.000	-0.158	0.000	0.000	0.000
კლება	0.158	0.000	0.158	0.000	0.000	0.000
საშინაო	0.158	0.000	0.158	0.000	0.000	0.000
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

ქედის მუნიციპალიტეტის მერი  გორგილაძე
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი  ჯემალ ტაკიძე

ნაშთი შემოსავლის დახარჯვისათვის
ნაშთი საანგარიშო ფონდის დახარჯვისათვის

312.419
624.733



დასახელება	შემოსავლების კლასიფიკაცია	2018 წლის დაზუსტებული გეგმა	2018 წლის II კვ. დაზუსტებული გეგმა	2018 წლის II კვ. საკასო შესრულება
შემოსულობები		11,095.044	4,491.144	4,523.116
შემოსავლები	1	11,080.044	4,476.144	4,514.051
არაფინანსური აქტივების კლება	31	15.000	15.000	9.065
შემოსავლები		11,080.044	4,476.144	4,514.051
გადასახადები	11	850.000	499.000	806.219
საშემოსავლო გადასახადი	11111	350.000	150.000	176.895
ქონების გადასახადი	11311	500.000	349.000	629.323
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131101	468.000	347.000	626.830
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131103	2.000	2.000	0.000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131104	0.000	0.000	0.554
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131105	30.000	0.000	1.940
გრანტები	13	9,523.444	3,688.044	3,411.147
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	133	9,523.444	3,688.044	3,411.147
გათანაბრებითი ტრანსფერები		4,538.200	2,269.200	2,269.200
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები მათ შორის:		4,985.244	1,418.844	1,141.947
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერები		4,959.000	1,392.600	1,115.703
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერები მათ შორის:		26.244	26.244	26.244
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერები		0.000	0.000	0.000
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერები		26.244	26.244	26.244
მ.შ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა				
სხვა შემოსავლები	14	706.600	289.100	296.686
შემოსავლები საკუთრებიდან	141	605.800	238.100	219.739
პროცენტები	1411	35.000	17.400	12.497
რენტა	1415	570.800	220.700	207.242
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	568.000	218.900	206.990
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზრუნველყოფა, ქირაქონობა და სხვა) გადაეცემიდან	14154	2.800	1.800	0.252
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	33.800	16.000	16.917
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	26.000	14.000	7.547
სანებართვო მოსაკრებელი	14223	1.000	1.000	0.615
სამხედრო საცაღებულო სამსახურის გადასახდების მოსაკრებელი	142212			0.200
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	25.000	13.000	6.732
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	7.800	2.000	9.370
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	7.800	2.000	9.370
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	35.000	17.000	24.000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	32.000	18.000	36.030
არაფინანსური აქტივების კლება	31	15.000	15.000	9.065
ძირითადი აქტივები	311	15.000	15.000	9.065

ქედის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან გორგილაძე**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ჯემალ ტაკიძე



ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის დაზუსტებული გეგმა		2018 წლის II კვ. დაზუსტებული გეგმა		2018 წლის II კვ. საკასო შესრულება	
		სულ	მათ შორის სახ ბიუჯეტ ფონდები	სულ	მათ შორის სახ ბიუჯეტ ფონდები	სულ	მათ შორის სახ ბიუჯეტ ფონდები
სულ	ქედის მუნიციპალიტეტი	11,404.646	0.000	4,757.456	0.000	4,210.802	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	467.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	5,654.524	0.000	2,885.674	0.000	2,726.034	0.000
	შრომის ანაზღაურება	2,870.900	0.000	1,358.520	0.000	1,319.655	0.000
	საქონელი და მომსახურება	1,287.590	0.000	701.670	0.000	661.338	0.000
	პროცენტი	25.600	0.000	25.600	0.000	18.279	0.000
	სუბსიდიები	772.500	0.000	407.400	0.000	391.657	0.000
	სოციალური უზრუნველყოფა	302.181	0.000	137.981	0.000	126.087	0.000
	სხვა ხარჯები	395.753	0.000	254.503	0.000	209.019	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,739.564	0.000	1,861.224	0.000	1,474.369	0.000
	ფინანსური აქტივების ზრდა	10.400	0.000	10.400	0.000	10.400	0.000
	ვალდებულებების კლება	0.158	0.000	0.158	0.000	0.000	0.000
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	2,183.890	0.000	1,114.720	0.000	1,041.328	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	101.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	1,854.029	0.000	996.299	0.000	940.162	0.000
	შრომის ანაზღაურება	1,366.600	0.000	669.780	0.000	637.627	0.000
	საქონელი და მომსახურება	397.510	0.000	264.300	0.000	254.251	0.000
	პროცენტი	25.600	0.000	25.600	0.000	18.279	0.000
	სხვა ხარჯები	64.319	0.000	36.619	0.000	30.005	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	329.702	0.000	118.262	0.000	101.166	0.000
	ვალდებულებების კლება	0.158	0.000	0.158	0.000	0.000	0.000
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	540.400	0.000	278.740	0.000	272.610	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	18.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	536.440	0.000	274.780	0.000	268.860	0.000
	შრომის ანაზღაურება	410.400	0.000	205.980	0.000	201.970	0.000
	საქონელი და მომსახურება	73.540	0.000	42.000	0.000	40.270	0.000
	სხვა ხარჯები	52.500	0.000	26.800	0.000	26.620	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.960	0.000	3.960	0.000	3.750	0.000
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1,424.812	0.000	757.302	0.000	723.603	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	83.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	1,282.470	0.000	686.400	0.000	652.922	0.000
	შრომის ანაზღაურება	956.200	0.000	463.800	0.000	435.657	0.000
	საქონელი და მომსახურება	318.970	0.000	217.300	0.000	213.981	0.000
	სხვა ხარჯები	7.300	0.000	5.300	0.000	3.284	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	142.342	0.000	70.902	0.000	70.680	0.000
01 03	სარეზერვო ფონდი	4.319	0.000	4.319	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	4.319	0.000	4.319	0.000	0.000	0.000

	სხვა ხარჯები	4.319	0.000	4.319	0.000	0.000	0.000
01 04	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	25.800	0.000	25.800	0.000	18.380	0.000
	ხარჯები	25.800	X	25.800	X	18.380	X
	პროცენტი	25.600	X	25.600	X	18.279	X
	სხვა ხარჯები	0.200	X	0.200	X	0.101	X
01 04 01	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	25.800	0.000	25.800	0.000	18.380	0.000
	ხარჯები	25.800	X	25.800	X	18.380	X
	პროცენტი	25.600	X	25.600	X	18.279	X
	სხვა ხარჯები	0.200	X	0.200	X	0.101	X
01 04 01 01	მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება	25.800	0.000	25.800	0.000	18.380	0.000
	ხარჯები	25.800	X	25.800	X	18.380	X
	პროცენტი	25.600	X	25.600	X	18.279	X
	სხვა ხარჯები	0.200	X	0.200	X	0.101	X
01 04	წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა	0.158	0.000	0.158	0.000	0.000	0.000
	ვალდებულებების კლება	0.158	0.000	0.158	0.000	0.000	0.000
01 05	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომებითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები	5.000	0.000	5.000	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	5.000	0.000	5.000	0.000	0.000	0.000
	საქონელი და მომსახურება	5.000	0.000	5.000	0.000	0.000	0.000
01 06	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	183.400	0.000	43.400	0.000	26.735	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	183.400	0.000	43.400	0.000	26.735	0.000
03 00	თავდაცვის ღონისძიებები	65.800	0.000	31.840	0.000	30.705	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	4.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	65.800	0.000	31.840	0.000	30.705	0.000
	შრომის ანაზღაურება	46.800	0.000	24.040	0.000	23.426	0.000
	საქონელი და მომსახურება	18.500	0.000	7.300	0.000	6.843	0.000
	სოციალური უზრუნველყოფა	0.500	0.000	0.500	0.000	0.436	0.000
03 01	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	65.800	0.000	31.840	0.000	30.705	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	4.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	65.800	0.000	31.840	0.000	30.705	0.000
	შრომის ანაზღაურება	46.800	0.000	24.040	0.000	23.426	0.000
	საქონელი და მომსახურება	18.500	0.000	7.300	0.000	6.843	0.000
	სოციალური უზრუნველყოფა	0.500	0.000	0.500	0.000	0.436	0.000
04 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5,092.135	0.000	1,854.095	0.000	1,613.191	0.000
	ხარჯები	820.144	0.000	477.544	0.000	435.514	0.000
	სუბსიდიები	562.800	0.000	320.800	0.000	306.370	0.000
	სხვა ხარჯები	257.344	0.000	156.744	0.000	129.145	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,261.591	0.000	1,366.151	0.000	1,167.276	0.000
	ფინანსური აქტივების ზრდა	10.400	0.000	10.400	0.000	10.400	0.000

04 01	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	11.400	0.000	3.200	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	11.400	0.000	3.200	0.000	0.000	0.000
	სხვა ხარჯები	11.400	0.000	3.200	0.000	0.000	0.000
04 01 01	სოფლის მეურნეობა	11.400	0.000	3.200	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	11.400	0.000	3.200	0.000	0.000	0.000
	სხვა ხარჯები	11.400	0.000	3.200	0.000	0.000	0.000
04 01 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა	6.500	0.000	3.200	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	6.500	0.000	3.200	0.000	0.000	0.000
	სხვა ხარჯები	6.500	0.000	3.200	0.000	0.000	0.000
04 01 01 02	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალდების და ჩაშვების ჰიდროინჟინერული ტექნოლოგიის პროგრამა	4.900	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	4.900	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	სხვა ხარჯები	4.900	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
04 02	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	215.000	0.000	93.000	0.000	90.978	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	215.000	0.000	93.000	0.000	90.978	0.000
04 03	დაბა ქედაში მდინარე აკავერეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები	219.900	0.000	100.000	0.000	36.331	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	219.900	0.000	100.000	0.000	36.331	0.000
04 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაკიდული ხიდების რეაბილიტაცია	50.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
04 05	ნაგვის შემგროვებელი ურნების შეძენა სოფლებისათვის	47.800	0.000	47.800	0.000	47.740	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	47.800	0.000	47.800	0.000	47.740	0.000
04 06	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4,548.035	0.000	1,610.095	0.000	1,438.141	0.000
	ხარჯები	808.744	0.000	474.344	0.000	435.514	0.000
	სუბსიდიები	562.800	0.000	320.800	0.000	306.370	0.000
	სხვა ხარჯები	245.944	0.000	153.544	0.000	129.145	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,728.891	0.000	1,125.351	0.000	992.226	0.000
	ფინანსური აქტივების ზრდა	10.400	0.000	10.400	0.000	10.400	0.000
04 06 01	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2,985.465	0.000	538.065	0.000	498.359	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,985.465	0.000	538.065	0.000	498.359	0.000
04 06 01 01	დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ყოფილი ადგილმრეწველობის კომბინატის შენობის რეკონსტრუქცია და საცხოვრებელ სახლად გადაკეთება	157.400	0.000	157.400	0.000	157.330	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	157.400	0.000	157.400	0.000	157.330	0.000
04 06 01 02	დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა	913.800	0.000	125.800	0.000	122.963	0.000
